

# “საქართველოში გავრცელებული მუხის ზოგიერთი სახეობის მორფოლოგიური და მორფომეტრიული კვლევა”

ნანა სილაქაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია*

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის*

*მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სატყეო მეცნიერების*

*მაგისტრის აკადემიური ხარისხის*

*მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჟანა ეხვავია, დოქტორი

ოთარ აბდალაძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

## შინაარსი:

აბსტრაქტი .....	3
შესავალი .....	4-6
1. ლიტერატურული მიმოხილვა .....	6-10
2. მასალა და მეთოდოლოგია .....	10-24
2.1 კვლევის ობიექტი .....	10-18
2.1.1 მუხის გვარის ზოგადი დახასიათება .....	10-11
2.1.2 საკვლევი მასალა .....	11-18
2.2 მეთოდები .....	18-23
2.2.1 მორფოლოგიური და მორფომეტრიული კვლევა.....	18-22
2.2.2 მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი.....	22-23
3. შედეგები.....	24-40
3.1 ქართული მუხის ( <i>Q. iberica</i> ) პოპულაციური კვლევა მორფოლოგიური და მორფომეტრიული დესკრიპტორებით.....	24-33
3.2 საქართველოში გავრცელებული მუხის ( <i>Q. dshorochensis</i> , <i>Q. iberica</i> , <i>Q. imeretina</i> , <i>Q. macranthera</i> , <i>Q. pedunculiflora</i> ) სახეობების მორფოლოგიური და მორფომეტრიული კვლევა.....	33-40
4. განხილვა.....	40-45
დასკვნები.....	46-48
ლიტერატურის სია.....	48-51
მადლობა.....	52

## აბსტრაქტი

მუხის გვარის (*Quercus*) სისტემატიკა ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია, რაც სახეობათა შორის ჰიბრიდიზაციის შედეგად გარდამავალი ფორმების არსებობით, მაღალი შიდასახეობრივი ფენოტიპური პლასტიკურობითა და გენეტიკური მრავალფეროვნებით არის განპირობებული. ჩვენ განვახორციელეთ საქართველოში გავრცელებული მუხის სახეობების (*Q. dshorochensis*, *Q. iberica*, *Q. imeretina*, *Q. macranthera*, *Q. pedunculiflora*) მორფოლოგიური და მორფომეტრიული მრავალფეროვნების შედარებითი ანალიზი. და ქართული მუხის პოპულაციური კვლევა. კვლევის შედეგებმა აჩვენა მრავალფეროვნების მაღალი დონე და გამოავლინა სახეობათა-პოპულაციათა შორისი ნიშნები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია შესწავლილი ნიმუშების დიფერენცირება. მათი უმრავლესობა შეგუებით ხასიათს ატარებს კონკრეტული სახეობის ან პოპულაციის ჰაბიტატისადმი, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია ინტროგრესული ჰიბრიდიზაციის პროცესებით სახეობათა გადაფარვის არეალებში და, მეორე მხრივ, ეკოლოგიური ჰეტეროგენურობით. რაც შეეხება ჰიბრიდიზაციას, შესწავლილ ნიმუშებში ქართული მუხის პოპულაციები მაღალმთის მუხასთან შერევით ამჟღავნებენ ამ უკანასკნელის ნიშნებს (შებუსვა და მორფომეტრიული პარამეტრების შემცირების ტენდენცია), ხოლო იმერული და ქართული მუხის არეალების გადაფარვის მიუხედავად, ისინი მკვეთრად გამოეყვნენ ერთმანეთს. ამის მიზეზია რეპროდუქციული ბარიერის არსებობა (ყვავილობის ფაზები ამ ორ სახეობაში ერთმანეთს არ ემთხვევა). ჭოროხის მუხა ყველა ნიშნით ემსგავსება ქართულ მუხას, თუმცა საჭიროებს შემდგომ კვლევას ბუნებრივი ჰაბიტატებიდან, მისი უფრო მეტი ნიმუშების ჩართვით და მორფოლოგიურ-მორფომეტრიულ დესკრიპტორებთან ერთად, მოლეკულური მარკერების გამოყენებას. რაც შეეხება ფოთლის მორფოლოგიური და მორფომეტრიული პარამეტრების მრავალცვლადიან სტატისტიკურ ანალიზს, იგი მოხერხებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს სახეობებისა და პოპულაციების დიფერენცირებაში.